

გეგმაცია

გეგმაცია პარასკევი. გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.
გეგმაცია პარასკევი. გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.
გეგმაცია პარასკევი. გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.
გეგმაცია პარასკევი. გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.
გეგმაცია პარასკევი. გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.
გეგმაცია პარასკევი. გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.
გეგმაცია პარასკევი. გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.
გეგმაცია პარასკევი. გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.
გეგმაცია პარასკევი. გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.
გეგმაცია პარასკევი. გ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით.

ფრთხილ

გამოდის ყოველ-დღე (რვაშაბათს გარდა)

ფანი განცხადებისა

ფანი განცხადებისა. ფანი განცხადებისა. ფანი განცხადებისა. ფანი განცხადებისა. ფანი განცხადებისა. ფანი განცხადებისა. ფანი განცხადებისა. ფანი განცხადებისა. ფანი განცხადებისა. ფანი განცხადებისა.

„ფრთხილ“

ფრთხილის აზრებიდან წლის და-
მდევადინ დირს შვიდი მანეთი
აღრსი: Тифлиς, редакция „Дროზა“.

მარტის 21 ვერ შესდგა
ფრთხილის შეგვრებილება, რადგანაც
საქმად თავად-აზნაურნი არ მო-
ვიდნენ, ამისათვის დავნიშნე
ახალი უფლის შამარბილვა მო-
გაველ აპრილის 3-სა საღამოს
ფრთხილის საათზე ტფილისის ტეპუ-
ტატო სობრონიები. უმორჩი-
ლესად ვსთხოვ უფლებით თავად-
აზნაურთ უფლისასა, რათა ინე-
ბონ და მობრძანდნენ დანიშნულ
დროს სობრანიები, მხოლოდ
მინამდინ წარმომადგენელთა-
ვიანთ ემბ-მამულზე საბუთები.

ტფილისის უფლის
მარშალი ღ. მალაფოვი.

ტელეგრაფი

ტელეგრაფი. ტელეგრაფი. ტელეგრაფი. ტელეგრაფი. ტელეგრაფი. ტელეგრაფი. ტელეგრაფი. ტელეგრაფი. ტელეგრაფი. ტელეგრაფი.

რად-ფრთხილ-ტელეგრაფი შესდგება და
დენერალ-ფრთხილ-ტელეგრაფი ინაშნება
დენ. კალაგაფსკი. თურქისტანის დე-
ნერალ-ფრთხილ-ტელეგრაფი ინაშნება დენ.
ჩერნიევი.

8 აპრილს იქნება შარველი შეკრე-
ბილება ებრაელების საზოგადოებათა
წარმომადგენლებისა.

ყავის ზოგიერთ თევზს და ხმელ
ხალს ბაჟი მოემატება.

გნების კვირას კაფის გუბ. ანანი-
ევის მასწავლებელს ხალსა დაეცა ებრაე-
ლებს და აიკლეს. 30 კაცი დატუს-
ლებულია ამ უწყსობისათვის; აბრუ-
ჩის მასწავლებელს ებრაელებს და ქრისტი-
ანებს შუა დიდა ჩხუბია; კარჩხში
14 კაცი დატუსადეს.

გარეშე საქმეთა მინისტრი თ. გარ-
ჩხაიძე, ავად-მყოფობის გამო, თავს
ანებებს ამ თანამდებობას; იმის ადგი-
ლს ინაშნება გიორგი. აღმართა ბუ-
ტაგოვი დაინაშნა სახელმწიფო რე-
ვის წევრად; დენ. ჩერნიევი მადგა
დენერალ-ლეიტენანტის ჩინი; გუბო-
ნინს ვლადიმერს ორდენი მეორე ხა-
რისხისა. პეტერბურგის ზოგადი-
მეცნიერება დაინაშნა ჟანდარმების გარ-
დუხის შტაბის უფროსად.

ციმბირის გასვლებში იწვეებიან,
რომ გადგინ-ვრასსკის რევიზიის გა-
მა, შემდეგში ციმბირში დასასახლე-
ბელად აღარავის აღარ გაგზავნიან.

პეტერბურგის ბირჟა, 30 მარტს.

ბანკის ბილეთები: 2ან. კაპ.
პირველი გამოცემისა — 95 — 75
მეორე — — — — 91 — „
მესამე — — — — 91 — 25

მეორე — — — —	91 — 12
მეორე — — — —	90 — 50
პირველი — — — —	90 — 37 1/2
პირველი — — — —	90 — 12
პირველი — — — —	90 — 25
მეორე, 1/2, იმპერიალი	8 — 12 1/2
შინაგანის 5% სესხი ბილეთები:	
პირველი სესხის — —	217 — 37
მეორე სესხის — —	211 — 50
100 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — — —	24 — 28 პენსი
ბამბურლი — — — —	206 — 75 ცენტი
პარიზი — — — —	255 — 25 სანტიმი
ბერლინი — — — —	„ — „ პფენიგი

ჩვენი გეგმარეგულა.

მოთხმეტს მარტს ტფილისის გუ-
ბერნიის თავად-აზნაურობა წარსდგა
ახალ მთავარ-მმართველთან. ჩვენი
მარშალი თ. სუმბათოვი მიესალმა
სიტყვით; ამ სიტყვამ გამოუხატა თ.
დარდუიკ-პარსაკოვის ის გრძნობა და
სიხარული, რომლითაც საზოგადოება
აღიძრა იმის ბრწყინვალეობის და-
ნიშნით...

მთელი ჩვენი ძაგასიის იმედი ეხ-
ლა ახალი მთავარ-მმართველია. ძეა-
ლი, რომელიც იმან უნდა შესცვა-
ლოს ჩვენი ეხლანდელ შევირეებულ
ცხოვრებისა. დაბადებს
ჩვენში ახალ წესს და გამოაფხიზლებს
დაძინებულს-მოუძღვრებულს ჩვენ
საზოგადოებას.

ახალი წესი და ცხოვრება დამო-
კიდებულია სხვა-და-სხვა ვითარებაზედ.
საფრანგეთის, ინგლისის, გერმა-
ნიის, იტალიის და სხვა ხალხის ცხოვ-

რება გვარწმუნებს, რომ ამათ ბევრი
ტანჯვა გამოუვლიათ, სანამ რიგიანდ
მოუწყვდიათ თავისი ცხოვრება.

თეოფილ მართელოს გულ-მო-
გინებას და კეთილ-განძრახებას დიდი
ნაყოფი არ მოუტანია ხალხისათვის,
თუ სწავლა-განათლება არ გაუვარ-
ჯიშებია ხალხის ჭკუა-გონება და არ
მიუნიჭებია იმისთვის ხასიათი. მმარ-
თელოს კეთილი აზრი ამოთ ჩველი-
ლა, თუ საზოგადოებას იმისათვის
შემწეობა არ მიუცია...

დღევანდელადინ ძალიან ცოტა
გვიფიქრია ჩვენ საზოგადოების ცხოვ-
რებაზედ. საზოგადოების სარგებლობა
მსხვერპლათ მოგვიტანია ჩვენი პირა-
დი სარგებლობისათვის. მარტმა მი-
მართულებამ დაბადა ბევრი ნაკლულე-
ვანება, რომელთაც თითქმის მტერად
აქციეს სარჩო-ქონება ჩვენი თავად-
აზნაურობისა. შოველთვის ცხოვრე-
ბას ესრეთი ბოლო ჰქონია, როდესაც
განათლებას არ მიუჩვენია კაცი გო-
ნიერულად და ხელ-მოჭერით ცხოვ-
რებისათვის.

ნეტარ-ხსენებულმა თ. მარაჩოვმა
ისურვა, რომ თავად-აზნაურობას და
გლეხებს ყოველისფრთვე კეთილათ მო-
წყვით თავიანთი მამულები, მიეღოთ
სარგებლობა და ამ საშუალობით მიე-
ცათ თავიანთ შვილებისათვის ცოდნა-
განათლება. იმისმა კეთილ აზრმა ვერ
მოიპოვა ის მტკიცე ნიდაგი, რომე-
ლიც მკვიდრად იმაგრებს აშენებულ
სახლს და კაცის ცხოვრებას.

შველა ქვეყანაში მამული ყოფილა
და არის აღმადინის მაცხოვრებელი

„ფრთხილის“ ფელტონი, 2 აპრილი

სალამო

(გუგუშვილი თ. გ. დ. ორბელიანს)

მიშ ამ საღამოს
მშვიდსა, სამოს;
ტბილ-ნეტარებით შეზავებულსა.
რა უცნაურად,
მალლით ციურად
სამოთხისაგან იტაცებს გულსა!

რომ საიღუმლო,
სასიკადულო
პაცაც ბუნების შეატყობინოს
და სადაც ჭკუა
სცდება და სტყუა,
იქ მარტო მხოლოდ გუგუშვილისაგანობინოს.

აჰ, გვარდნა მცეა,
რომ არის ზეცა
აღესილი რაღაც ძალით საგზნობით
და ეს ქვეყანა
შოვლენით, ყველგანა

თავსუხრის შემქნელს მადლით საგრძნო-
ბით!

დახეთ ამ მთვარეს
სხივ მომდინარეს,
თითქოს ტბილ სედიტი ივებსო გულსა.
მოკაშკაშენი,
მოჭიკჭიკენი
მარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა!

ძალითა დიდება,
შექმნათა ქება
არს საიღუმლო მათი სიმღერა...
მეყენით ბუნება
ბანს ეუბნება
და ეს ბანია მას გულის ძგერა.

შევილთა ენა
არს სუნნელთ ფშვინა,
საგალობელად აღმა კმეული!
წყალთა ჩქრიალი,
შოთოლთ შრიალი,
ბალახთ ბიბინი რაღაც გრძნეული,

ბუნების მაყრულს,

საქარწინათ სრულს,
მკავშირება, ზე ემატება....
და ახლა მეც ვგრძნობ,
საიღუმლოთ ესცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!

ბაღში ბუჩქზედ ერთი ვარდი
ხანგრძლივ ტურფად იშლებოდა,
ფერი მისი არც სიცივით
და არც სიცხით იცვლებოდა.

მისთვის ყველა ერთი იყო,
ზამთარი თუ გაზაფხული;
სუნნელობა მუდამ ჰქონდა,
ცვარით იყო დანამული.

მას ფოთოლნი აშვენებდნენ
თავისივე ბუჩქის მწვანე,
ახლო-მახლოს არსად იყო
მარდი მისი მოსამგვანე.

მრავალ-გვარი ფრინველთ გროვა

ბაღში ხშირად შეკრებოდა,
შეგლობდნენ, მაგრამ ვარდი
მათი მღერით არ კრთებოდა.

მეღებოდნენ მუდამ თავზედ,
დასტვენდნენ და ჭიკჭიკობდნენ;
დიდის ქებით და დიდებით
შველა ერთ ხმად შეამკობდნენ.

მაგრამ ვარდი იმათ სტვენას,
იმათ ჭიკჭიკს, მათს სიმღერას
არ ისმენდა, არც მოჰგერიდა
მას ეს ხმები გულის ძგერას.

შველას ჰსურდა, რომ ბუჩქის ძირს
მისულიყო ჩუმად, პარვით
და ეს ვარდი ხელად ევლო,
რამე სხვა გზით, ან მოპარვით.

ტყევილი იყო მათგან ეს ცდა,
მს ოდენი შეწუხება;
არც ერთს მათგანს წილად არ ხედა
მარდის ბუჩქის ხელის ხება.

და შემწახვეი, იმის კაცობრიობის გან-
მავითარებელი და გამაპატოვნებელი;
მაგრამ მამულს, როგორც კაცის
ქუა-გონებას, თავისი ღირსება დაჰ-
კარგავია, თუ ის წესიერად არა ყო-
ფილა შემუშავებული. ჩვენს თავად-
აზნაურობას ღიღი სარჩო - ქონება
აქვს. ეს სარჩო იმათი მამულებია. ამ
მამულების გაუმჯობესობისთვის თ.
მარანცოვმა დააარსა პრიკაზი. მაგრამ
ეს პრიკაზი გახდა ბევრისთვის მახრ-
ჩობელად. იქიდან გამოტანილი ფუ-
ლი წავიდა დღიურ ჩაცმა-დახურვა-
ზედ, მდიდრულ უთაბოლო ცხოვე-
რებაზედ, ბალებზედ, ქალაღის და
ლოტო-ნარღის თამაშობაზედ; მამუ-
ლები კი ღარჩათ ისევ იმ ველურ
მდგომარეობაში, რა მდგომარეობა-
შიაც იყო იმათ მამა-პაპის დროს.

თ. მარანცოვის კეთილმა განძრახ-
ვამ სხვა ნაყოფი მოიტანა: იმას ჰსურ-
და ერთბაშით ხალხის სულიერი და
ეკონომიური ცხოვრება წინ წაეყვა-
ნა, ეჩვენებინა ჩვენთვის კაცის ღირ-
სება და ის განსხვავება, რომელიც სუ-
ფიკს ველურ და განათლებულ კაცთა
შუა.

შველა ქვეყანაში მაშინ განვითა-
რებულა სასოფლო მეურნეობა, რო-
დესაც მამულები გამოჯნულა და ყვე-
ლას სკოდნია თავისი მხედრი-სა-
კუთრება. სადაც კი მამულზედ ჰქო-
ნათ დაუძინარი ბრძოლა და თავის
მღერევა იქ მეურნეობას ჩქარა ბო-
ლო მოღებია. ამ ვითარებით ჯერ
ჩვენში გამოჯნენ აჩქარებას უნდა
გავსწორებინა გახლართული ჩვენი
საქმეები, თანასწორ იმასთან დაბალ
მეურნეობის, ხელოსნობის, ტეხნი-
კურ და სხვა სასწავლებელთ მიეცათ
ხალხისთვის ცოდნა-თუ როგორ
უნდა წესიერათ მოუაროს კაცმა თავის
მამულს და ისარგებლოს, გზები
სოფელ და სოფელ ქალაქამდნ გა-
მართულიყო და შემდეგში პრიკაზი
გახსნილიყო, რომ თვითვეულ მამუ-
ლის მეპატრონეს მიეღო იქიდგან

სესხად, მცირე სარგებლით, ხანგძლიერ,
ფული და ეს ფული მოეხმარებინათ
მამულის გამშენიერებაზედ. რადგა-
ნაც ეს წესი ჩვენში წინად არ დამ-
კვიდრდა, ამის გამო გზები დაიხლა-
თა: პრიკაზიდგან მიღებული ფული
გაჰქრა და ჩვენი თავად-აზნაურობა
ვალში ჩაცვინდა და თითქმის ბევრი
გახლავდა.

ეს მდგომარეობა ჩვენი თავად-
აზნაურობისა და სხვა ჩვენი მოძმესი
ჩვენ ვაღვიარეთ თ. ლონდუკოვ-ძორ-
საკოვთან მარშლის პირით.

მართლაც, ამისთანა შეჭირვება
ჰქმნარიტება არის. ძაცს გული აუ-
ტირდება, როდესაც დაახლოვებით
გაიცნობს ჩვენი თავად-აზნაურობის
და გლეხების ცხოვრებას, იმათ შე-
ჭირვებას. ბევრ თავად-აზნაურობის
ოჯახობაში ყმაწვილები ღლეწანდამ-
დინ საცოდავ მდგომარეობაში არიან:
ღარჩენილან უსწავლელნი და არ
ერჩევიან თითქმის გლეხთ-შვილებ-
ში.

ამ მდგომარეობიდგან განთავისუფ-
ლების წამალი განათლებაა, მკვიდ-
რი ცოდნა, რომელზედაც უნდა
იყოს აშენებული ჩვენი ოჯახობა და
საზოგადოება. ბანათლებამ უნდა მის-
ცეს ჩვენ ოჯახობას დედა, ის დედა,
რომელიც ხდება აღმზრდელად შვი-
ლებისა და რომელიც უხსნის იმათ
მაღალ გრძნობის გზას და აძლევს
მამულს და საზოგადოებას კეთილ
მოქალაქეს. რომ ყველა გვარი ხალ-
ხი გახდეს თანამოზნარე განათლებისა
საჭიროა, რომ იმისი სხივი ანათებდეს
ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში.
ამ აზრს უნდა დაუხლოვდეთ ყვე-
ლანი და ეცდილობდეთ მოვიპოვოთ
ის საშუალება, რომელიც შეადგენს
თანხას დასაარსებელათ სხვა-და-სხვა
გვარის სახალხო სკოლებისა, რომ-
ელთაც მოითხოვს ეხლანდელი ძაე-
კასიის ხალხის ეკონომიური მდგომა-
რეობა.

წინამძღომელი ამ აზრის შესრუ-

ლებისა უნდა იყოს ჩვენი საზო-
გადოება, იმისი განათლებული და
მცოდნე ახალ-მოზარდე შვილები.

თავად-აზნაურობა ღლეწანდამდინ
მოელოდა და მოელის მმართველო-
ბისაგან შემწეობას. ეს შემწეობა ყო-
ველ დროს ყოფილა და იქმნება,
მაგრამ ამისთანა მიმართულება ცოტა-
ოდენს ამცირებს ჩვენ კაცობრიულ
ღირსებას და მოვალეობას როგორც
სხვა სახელმწიფოში, ეგრეთვე ჩვენ-
ში, მმართველობას აქვს მსდევლო-
ბაში მხოლოდ ბედნიერება ხალხისა,
იმის კეთილ-დღეობა და სარჩო-ქო-
ნების გამდიდრება. თუ მართებლობა
ჩვენს კეთილ-დღეობაზედ ფიქრობს,
მაშასადამე ჩვენი მოვალეობა ერთი-
ორად უმეტესი უნდა იყოს ჩვენი
მზრუნველობა საზოგადო საქმეებისათ-
ვის ერთი-ორათ უნდა ვიფიქროთ
ჩვენ მდგომარეობაზედ, მივცეთ ერთი
ერთმანეთს მხარე ცოდნით და სარ-
ჩოთი და მით შევცვალოთ ჩვენი
ეკონომიური ცხოვრება.

საუბედუროთ, ღლეწანდამდინ
ძალიან ცოტა მეცადინეობა გამოვი-
ჩინეთ ჩვენ საერთო საქმეში, ცოტა
ვიფიქრეთ, ვიშრომეთ საზოგადო სა-
ქმისათვის და ამ მიზეზისა გამო ვართ
მოუძღვრებული ყოვლის ფრივ და
დამორბეული იმ უკვდავების წყაროს,
რომელსაც უწოდებენ განათლე-
ბას.

სჯობდა ის სარჩო-ქონება, რომე-
ლიც გაჰქრა ბალებზედ, ქალაღის
თამაშობაზედ, ზურნა-ნალარაზედ, მო-
გვეხმარა ქუა-გონების განვითარება-
ზედ...

მაგრამ რაც მოხდა მოხდა, წარ-
სულს ვეღარ დავიბრუნებთ, დავერჩა
სამაგალითოდ ჩვენი კაცობრივი შეც-
დომანი, რომელნიც უნდა იყვნენ
სარბიელათ ეხლანდელის მტკიცე კვა-
ლის გამოკვლევისათვის.

მხლანდელი ხალხის ეკონომიური
მდგომარეობა მოითხოვს იმ სწავლას,
რომელიც უხსნის კაცს ქუა-გონებას

და აძლევს იმას ამ ქვეყანაში
ლუკმა-პურს. ამ სწავლას
ბენ რეალურ სწავლას. რეალურ
წავლებელთ ჩაითვლება სასოფლო
მეურნეობის, ტეხნიკური, ხელოსნო-
ბის და სხვა ამ გვარი სკოლები.
თანა სკოლებში ჩვენმა შვილ-
უნდა მიიღონ სწავლა განათლე-
ბით ჩვენ მხარეს და თავიანთ მამა-
გამოადგენ.

ღლეწანდამდინ ჩვენი შვილ-
თავისუფალ შრომას მოკლებული
ნენ. იმათი სწავლა მარტო ჩინ-
ნიკობის ხარისხს აღირსებდა; ამო-
და თავიანთ მამულებს საუკუნო
ლუკმა-პურს. მხლა უნდა ვმცოდნე-
ჩვენი შვილები მაინც განვითავს
ლოთ და მოვაშოროთ ამ სწავლ-
ბას.

თუმცა მამა-კაცი ოჯახობაში
გლეხების განთავისუფლების შემ-
ფრთხე გაშლილნი ვეღარ და-
მაგრამ კიდევ ეძებენ აფიცრის წიგნ-
იმის პრწყრიალს შესამოსავს და თ-
სუფალ შრომას თავს ანებებენ.
სწავლება განსაკუთრებით გაფრ-
ლებულია მუთათისის გუბერნიის
და ახალ-კაცობაში.

სომხებმა ეს შეცდომა გაიგეს
ნი შეუდგნენ ხალხის განათლე-
ბისათვის ყველა კუთხეში გა-
ლებას, თავისუფალ შრომით სა-
შეძინებას, თუმცა ნივთიერმა მ-
თულებამ ისინი დასძლია და
შორა ქართველებს. მხლა, მარ-
თაც, ჩვენ და ჩვენ მოძმეთ სო-
შორის თითქმის მოსპობილია
კავშირი, რადგანაც ქართველები
რულ ცხოვრებას მიეცნენ.

ნათქვამია: „ურემი რომ გ-
ბრუნდებოა, გზა მაშინ გამოჩ-
ბაო“. ჩვენ ბევრჯელ ურემი გ-
გვიბრუნდა, ბევრი გზა გამოგვიჩ-
მხლა ეს გზები დავერჩა გასაღ-
და ამათი გატყენა უნდა იყოს
მიზანი.

რომ გზა შევიმსუბუქოთ საქმე-

ასე დაჰყო ვარდმან ღიღანს
შმანკოთ და შეუცვლელათ,
რომმის მტრფობელთ გზა არჰქონდათ
მასთან ახლო მისასვლელათ.

ეს ანდაზა ბავშობიდგან
მსმენია და მესმის ყურად:
„მწიფე მსხალი ღორს ერგება“,
ნათქვამია მღაბიურად.

სწორედ ასე დავმართა
ჩვენს საქმეს და მშენიერ ვარდს,
ბედმან გვერდი აუარა
და არ შეხვდა თვის შესაფარდს.

მრთს ღღეს რაღაც ღიღი მხეცი,
მოღლაზნილი კამბეჩივით,
შემოვარდა ბალში ფშვენით
ბამაძლარი ქერით, თივით.

შეუტია ფრინველთ გროვას
ბაფანტა და შორს გაჰყარა;
ამ ვარდის ბუჩქს პირი გაჰყარა
და სულ ძირზედ აღმოთხარა...

მხეცმა ბუჩქი გაიტაცა,
საკუთრებათ მიითვისა
და საბრალო ტურფა ვარდი
გახდა მსხვერპლი პირუტყვისა.

თვით იცით, რომ პირუტყვი ვარდს
დაჰქნობს, არ გაახარებს
და ვარდიც ვერ თანაუგრძნობს,
ლზინს და ჭირს ვერ უზიარებს,

და საბრალო ტურფა ვარდი
თავ მომწონე ნაზად ზრდილი
დასქნა და თვისი შეგნების
ღღეს აღგია მხოლოდ ჩრდილი.

და პირუტყვი სულაც არ სწუხს
დაჩაგრულის ვარდის ცქერით,
თვით ნელ-ნელა კი სუქდება
სხვისი თივით, ბზით და ქერით.

26 თებერვალს. რუს-იმერელი.

კახეთისადმი

აღარ შედიხსა, მშენიერო ჩვენო კახეთო,
რომ გომოხრის მითი შენს შეგნებას გვლავ
გადმოგვსდო,

დაჰქო დაბლა, შენს წაღვოტებს ჩამოგუა-
რო

და იმათ ჩრდილში განვისვენო და გავი-
ხარო.

აღარ შედიხსა გავისხარო შენთ შეილთა
ღზინით,
დავატეხო სმენა მათ სიმღერით, ტეპი-
ღის დიდინით,

გულსა დახვარულს გვლავდ ესმას „მწავლ
ქამიერ!“
მესმას ორბინის „გადღებულს, იუპო
ბედნიერ!“

აღარ შედიხსა გვლავდ ვნახო შენნი ასულნი,
როგორც თითონ შენ შეგნებითა აღუვა-
ბულნი;
მათი ხმა ნახი, საუბარი გვლავ გავიგონო,
გულს რაც მიტეხობდა, რაც სტანჯავდა
გვლავ მოგვიგონო.

ნუ თუ ჩავიდე ისე საფლავს და დაჰყო

ჩვენო კახეთო, მშენიერო, რომ გვ-
გნებო

ნუ თუ ვერ ვნახო რაც თვალთა ს-
გულს ენატრ-
რაც რომ სიზმარში და ცხადათა
მელან-

კახეთო, გული შენგენ იწვეს და შე-
შოხსა ვარ, მაგრამ გულს ალაზნის
ბინი გ-
გზივარ ფიქრითა გომოხრისა ზურმუხ-
მითა

და თვალთ ხარბის შენს მშენიერს
ფუნქციონს გვ-
გვლავდ

გვლავდ შენთ ვაზთ ნეტარს და ვლავ-
იუპო ბედნიერ!

იუპო ბედნიერ, იდეგვრძელე მწავლ-
ბულნი



ჩვენ გამოვიკვლიეთ პირველი ჩვენი საჭიროებანი, რომლის გახსნა მოგვანიჭებს კეთილ-დღეობას.

მარჯვნივ საჭიროება აღზდა და განათლებად ჩვენი შეიღებინა. ამისთვის ყველა კერძო პირს უნდა ჰქონდეს სწავლის საშუალება. ეს საშუალება სასოფლო მეურნეობის, ტექნიკის და ხელოსნობის სკოლებია. სწავლა ამ სკოლებში დედა-მამებ უნდა იყოს. ამას მოითხოვს ეხლანდელი პედაგოგიური მიმართულება. რადგანაც ყველა განათლებულ ქვეყანაში ბავშვის და გონების განვითარება დედა-მამებზე დაფუძნებულია. დედა-მამა საძირკველია განათლებისა. მშვენიერი თავის ენაზედ უფრო მაღალ ითვისებს ცოდნას და იმას გონება უფრო ზრდობს, ვიდრე უცხო ენაზედ.

მეორე საჭიროება-მამულების გა-მოგვრა არის. თუ გამოგვრამ მალე არ მოსპო ძმებთ და ნათესავთ შუამშულობა ბრძოლა, ყოვლათ შეუძლებელია ეკონომიური ჩვენი ცხოვრების კეთილად შეცვლა. ჩვენი აზრით, გამოგვრის წესდება უნდა შეიცვალოს, კომისიები დაარსდეს, რომელთაც ადგილობრივ ზამთარ-ზაფხულ გაარჩიონ საქმეები; ამათხედ უფროსი სამჯავრო ადგილი გამოგვრის პალატა უნდა დაარსდეს სადაც დაბოლოდეს საუკუნოთ საქმეები. მამულის გაყოფაზედ ვადები უნდა შემოკლდეს, — ამ ცვლილებას მოითხოვს ძველბრძნის ხალხის კეთილ-დღეობა.

მესამე — გზების გაკეთება და გახსნა, რომ გაუადვილდეს სოფელში მცხოვრებთ ჩამოიტანოს ქალაქებში გასაყიდად ნაწილი თავიანთ წლიურ მოსავლისა.

მეოთხე — სახელმწიფო გლეხებს სახანო მამულები, რომელიც სოფელში და სოფელ გარეთ იმათ უჭირავთ, შეუსწორდეთ, რომ მდიდარმა დაბალი, არ დაჩაგრას და ჰქონდეთ, იმათ საშუალება, რომ იმათ მოაწყონ თავისი მცირე სახელოსნო.

მეხუთე — სოფლებს მიეცეთ რაიმე წესიერი განწყობილება, რომ ხალხი ერთმანეთს თავის დარბაზებით და საუკეთესო არ ასხდნენ, სიცივით არ კვდებოდნენ და მშობიარე დედა-კაცი არ იკრუნჩხებოდნენ.

მეექვსე — სასოფლო მალაზიების აშენება, რომ ხალხის სარჩო ავდარმა არ გააფუჭოს და სხვა მანებებელმა არ შეკამოს.

მეშვიდე — დაარსება სასოფლო ბანკისა, საიდანაც თავად-აზნაურებს და გლეხებს შეეძლოთ შეჭირვების დროს ხელი გაიმართონ.

მერვე — ხალხს დაურიდეს ახალი ეკონომიური გუთნები და სამეურნეო იარაღები, სხვა-და-სხვა თესლი და ნამყენები. ხალხის ხელმძღვანელნი უნდა იყვნენ ჩვენი განათლებულნი აგრონომები, რომელნიც ჯაბანის მეტს არას აკეთებენ დეპარტამენტებში.

მერვე — სასოფლო სამჯავროებზედ იქონიონ სატიკი ყურადღება. მეათე — მღვდლის შეიღებმა შესწავლონ სემინარიაში ქართული ენა და ექიმობა, რომ ამ საშუალებით იყვნენ ხალხისთვის ნამდვილ ძირსტეს მწყემსათ, — სულიერნი და ხორციელნი იმათი მკურნალნი.

და მეათმეტე — დაარსდეს ყველა უფლები მცოდნე პირებისაგან კომისიები, რომელთაც გამოიკვლიონ ბუნებითი სიმდიდრე უფლებისა და ხალხის საჭიროება. ეს კომისია შეიძლება შესდგეს ამ წევრებიდან: ერთი აგრონომი უნდა იყოს, მეორე — მთის ინჟინერი და მესამე ტექნოლოგი. — რასაკვირველია, ამ კომისიაში მიიღებენ მონაწილეობას, თუ საჭიროება მოითხოვს, ადგილობრივ მხარის მარშალი, მხარის უფროსი და გლეხების მხრით ამორჩეული პირნი.

ჩვენ ამითი ვათავებთ გამოკვლევას ჩვენი საზოგადო საჭიროებისა, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ დანარჩენ ჟურნალ-გაზეთებშიც მიაქციონ ყურადღება თავის მხრივ ყველა მუხლს ჩვენი შენიშვნისას, განაკვირონ და შეადგონ იმის ნაკლულევენება.

ა. მიწაბლიძე.

დღიური

პეტერბურლის გაზეთებში იწერებინ, უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს, რომ დაიბარონ რუსეთის სოფლებიდან ყველა მამასახლისები ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებათა. სულ რუსეთში 30,000 სამამასახლისო ითვლება.

მრთს ფრანკულულ გაზეთში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი:

„ამ დღეებში მიქტარ ჰიუგომ გამოართა თავის ნაცნობებისა და მეგობრებისათვის დიდი სადილი. შუა სადილზე ჩვენი დიდებული პოეტს აცნობეს, რომ იმპერატორმა ალექსანდრემ აპატია და სიცოცხლე მიანიჭა იმ ხუთ პოლიტიკურ დამნაშავეს, რომელთაც სამართალმა სიკვდილით დასჯა გარდაუწყვეტად და რომელთა პატიება სთხოვა რუსეთის იმპერატორს თვითონ მიქტარ ჰიუგომ პარიზის გაზეთებში დაბეჭდილის წერილით.

მიქტარ ჰიუგო აღელვებული წამოდგა ზეზე და ხმა-მალლა წარმოთქვა:

„— მსვამ სადღეგრძელოს, რუსეთის მეფისას, რომელმანც ხუთს პოლიტიკურ დამნაშავეს აპატია და რომელიც, იმედი მაქვს, დანარჩენებსაც აპატიებს.“

ჩვენ გვიამბეს შემდეგი მაგალითი ჩვენი პოლიციის მოღვაწეობისა:

მერის უბანში, ხევის მახლობლად მცხოვრებლებს მუდამ ეკარგებოდათ თურმე ამ უკანასკნელ დროს თუ ფიცრები, თუ შეშა და თუ სხვა ამგვარები. ბოლოს გავიღო კერაში სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს, რომ

მელთაც თ. ზ. ხერხეულიძის ეზოში ეყენათ შემოინი ურმები, შეშა დაეკარგათ; აღმოჩნდნენ მოწმები, რომელთაც ენახათ, რომ ეს შეშა წავლოდნენ, გვარად ტურჩენკოს და ძარლოს, რომელნიც ამ ადგილას დგანან „მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად“.

ადგილის მცხოვრებლებმა (თორმეტმა კაცმა) დასწერეს თხოვნა და წარუდგინეს პოლიციისმეტრს; თხოვლობდნენ, რომ ეს გარადლოვები აქედან გარდაეყენათ სადმე და ამათ ქურდობაზედ გამოძიება დაენიშნათ. ამათი თხოვნა შეასრულეს: გარადლოვები გარდაეყენეს და გამოძიება ადგილობრივ პრისტავს ბ. ასლამაზოვს მიანდეს, იმ ასლამაზოვს, რომელზედაც ამას წინათ გამოცხადებული იყო, რომ ვიღაც გლეხს ჩუბინიძეს იმდენი სცემდა, რომ კინადამ მოჰკლათ. ამ ბ. ასლამაზოვმა გამოძიება ისე წაიყენა, როგორც ამბობენ, რომ მთელი ამ საქმის „ჩაფარება“ უნდოდა; მაგრამ პოლიციისმეტრმა ესეც გამოცვალა და ახლა სხვა გამოძიებელს აქვს ეს საქმე მინდობილი და ენახათ — როგორ გათავდება...

მრი საყურადღებო ბალი იყო ამ კერაში: ერთი ტფილისის ძლუბში „ზაფხუბის საღამო“ ქართულ თეატრალურ ფონდის შესწევნელად (ორშაბათს 29 მარტს) და მეორე ოთხშაბათს 31 მარტს „ტფილისის ძრუფოკში“ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

ზაფხუბის საღამოზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით ბავშვობა, ქალ-გაყენი. საზოგადოების ყურადღება დამსახურა ბ. მ. მართველიშვილის პატარა ქალის როლიანზე მარჯვედ დავრამ, პატარა სიციანოვის ქალის ქართულ ლექსების წაკითხვამ და სახანაურო სკოლის ხოროს ქართულმა სიმღერამ. ნისლოვანი სურათები ახალგაზრდობამ ძალიან მოიწონა. ათი საათიდან ნაშუალამეამდინ კლუბში ზაფხუბი მეფობდნენ: ტანცაობდნენ, დახტობდნენ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ ბალი ჩვეულებრივად კარგად ვერ გამოვიდა წელს; ხალხი კვლავინდელზე ნაკლები ყოფილა და არც კვლავინდებული ლეკური გამართულა: მხოლოდ ერთს მ. პნდრონიკოვისას დაუმსახურებია საზოგადოების ყურადღება თავის მოხდენილის და ხელოვნურის ლეკურითა.

ამ საღამოს დაესწრო ბალზე ძველკასის მთავარ-მმართველი თ. ღონდუკოვ-პორსაკოვი თავის მეუღლით. მ. ღონდუკოვ-პორსაკოვმა გაიცნო ყველა წევრი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ კომიტეტისა და, სხვათა შორის, გამოუცხადა იმათ თავის თანაგრძნობა ამ საზოგადოების დანიშნულებასა და მიზანზედ.

სამხურ გაზეთს „მშავში“ წერს ბიან, ახლად-დაარსებულ სოციალ-დემოკრატულ საზოგადოებას განზრახვა აქვს, რომ, სხვათა შორის, დაარსოს ქალაქში ღარიბ და ობოლ მოსწავლეობისათვის თავ-შესაფარი სახლი (პრიუტი).

„დროების“ კორექსიონი.

სოფ. მარტოშვიდამ, 24 მარტს. წერულს აქეთ ძალიან დიდი ზამთარია. ღვინობისთვის ექვსიდან დაწყებული ისეთი გაბმული სიცივებია, რომ ერთი სამი დღე ერთმანეთზე კარგი დღე არ გვინახავს.

ხალხი უფრო იმაზედ არის დაღონებული, რომ არა აქეთ შეშა, ფული და დაფქული.

ჩვენ დედა-კაცებს მოუგონიათ ამ სიცივის ქორი შემდეგი: ამიტომ არის ეს სიცივებია, რომ აბრეშუმის ქია გააჩინეს!

აქამდინ აბრეშუმის ქიას არ აჩენდა ჩვენი ხალხი. ამ ასის წლის წინათ-კი ძალიან ხშირი იყო თურმე აქ აბრეშუმის ქიის გაჩენა და, რადგანაც ჩვენს სოფელში თუთის ფურცელი ძალიან ცოტაა, ამის გამო მარაიის ქალიდან ზიდავდნენ. მართლმეტ დაუხრცავთ ლეკებს რამდენიმე მარტოფელი, როდესაც ქიის საზრდოზედ ყოფილან, და მას აქეთ ხალხს გარდაუწყვეტია, უთუოდ ეს ქია ცოცხიანია, რომ ამდენი ხალხი დახოცეს და აუღიათ ხელი.

ამ ორის წლის წინათ (1880 წ.) მარტოფის საზოგადოების მღვდელმა მბიტრმა მოიწვია ეპისკოპოსი ალექსანდრე ახლად აშენებულის სამების ეკლესიის საკურთხელობათ. საზოგადოებამ სთხოვა ეპისკოპოსს, რომ მეორე დღეს მწირველი ბძანებულიყო სობოროში მარტოფის საზოგადოებისათვის და მასთანავე განხსნის ლოცვა წავკითხა, რათა ძველებურათ გაეჩინათ აბრეშუმის ქია.

მართლათაც, მას შემდეგ გააჩინეს ეს ქია და სარგებლობდნენ მით, მაგრამ წერულს რომ ცივა, ქიისათვის დაუბრალეობათ და შეუდგნათ განჩინება, ვინც ეს ქია კიდევ შეინახოს, დაწვით ან ავიკლოთ და ამის გამო ახლა ვეღარავინ ბედავს ქიის მოშენებას...

მარტოფის ტყე ზედ აკრავს და ესენი კი უშეშოთ არიან, — რათა. ამიტომ რომ ეს ჩვენი საზოგადოება განიყოფება ოთხ ნაწილათა, თითო ნაწილს უწოდებენ ბარათსა. საზოგადოების ერთს ბარათს აუღია და მიუცია თხოვნა მთავრობისათვის: ტყე არ გვინდო. მთავრობას ყურადღება მიუქცევია ამ თხოვნაზე და სმეტიდამ ამოუშლიათ ჩვენი სოფლები! როგორც ამბობენ, ამ გვარი თხოვნა იმიტომ მიუციათ, ეგები „ბოლის ფული“*) აღარ გამოგვერთვასო; ესეც მიუციათ იმისთანა პირებსა, რომელ-

*) ბოლის ფულს ტყის გასაშენად ფულს ეძახიან.

ნიც მართლა რომ არ დადიოდნენ სახელმწიფო ტყეში და იჯარით ჰქონდათ აღებული სათავადო ტყე და იქიდან ეზიდებოდნენ, და დანარჩენი ხალხი კი დარჩა. მაგრამ ამ თხოვნაზე არამც თუ მართლა იმ ხალხს დაუშალეს ტყიდგან გამოტანა რისამე, მთელ საზოგადოებასა. ამ საზოგადოებაში ერთი არაფერი გამოჩნდა, რომ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე და ტყე გამოუტანოს და ამათი შეცდომა გაასწორონ. ამიტომაც მოემართეთ თქვენს გაზეთს, იქნება ეს გარემოება მთავრობამ გაიგოს და შეძგეობა რამ მისცენ გაქირებულ ხალხს. წელს კიდევ ვენახები გაჩენეს და იმითი ითხოვენ სახესა, რა ქნან სამემბრისათ?

აღის-ხეველი.

თფილისის სამკურნალო

ავათმეფეები მიიღესან დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდის.

ო რ შ ა ბ ა თ ს გარალევი და ლისიცი—შინაგან ავათმეფეობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფეობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმწველების ავათმეფეობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმეფეობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს. მინკევი—სირურგიული ავათმეფეობისა; ლისიცი—შინაგან ავათმეფეობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფეობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმწველების ავათმეფეობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმეფეობისა.

ო რ შ ა ბ ა თ ს. ლისიცი და მირმანოვი—შინაგან ავათმეფეობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფეობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმწველების ავათმეფეობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმეფეობისა.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს. ლისიცი—შინაგან ავათმეფეობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფეობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმწველების ავათმეფეობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმეფეობისა.

ზ ა რ ა ს კ ე კ ს. მინკევი—სირურგიული ავათმეფეობისა; ლისიცი, მირმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმეფეობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფეობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმწველების ავათმეფეობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმეფეობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცი—შინაგან ავათმეფეობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფეობისა; ბასურტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმწველების ავათმეფეობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმეფეობისა.

განცხადებანი

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. შასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—5)

იურიდიული კაბინეტი

იურიდიული ბიბლიოთეკით

დარსდა ბოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბელოვის სახლში ძელობის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდის.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—8)

ლონდონის მაღაზია კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდვად ზირველი შოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რეკორდებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკოსი, ღუხებისა, საპონისა, შოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კაღებისა, უნგრებისა, სუგრისისა (გემრიელი გლეშინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურებებს გასასყიდვად კანფეტების და ბატონებისა და კამშ. მურებისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტინგჰამიდან. ნამდვილი ჭაჭანს სიგარტები. (100—95)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიაში

ი ბ ა ბ - ა რ ა კ ნ ი

პრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდან გალექილი თ. რ. ერისთავისა.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

გ ა მ შ უ ლ ს

საერთო მფლობელობაზე

თხზულებას

ანტონ შურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჰიჭინაძისაგან.

შასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემს

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფ ა ს ი ე რ თ ი ა ბ ა ზ ი.

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვანა. იქვე იყიდება: ზარუსინა 40

ახლად ჩამოსული

გ ა მ შ უ ლ ს - ქ ა ლ ი

აქეს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც ათი წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქეს ამ ქალაქის საეპიშოპო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა, მიიღებს ავად-ყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქეს ამათთვის დამზადებული ოთახები.

(24—3)

კაბ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაბ—დამ; პადონები 5 კ.—დამ, მურაბა და ალობები ნახევარ ფასად და სხვ. (100—76)

КИРПИЧНЫМЪ ЗАВОДИКАМЪ

ручные кирпичные прессы.

мои равносильно и постоянно работающие.

которые в сравнении с другими методами изготовления кирпича дают громадную экономию в материале и в рабочей силе. Они дают кирпичи в 4000 штук, тогда как другими способами можно получить только 1000 штук. Кроме того, мои кирпичи имеют особую прочность и не трескаются при сушке.

рекомендую мои машины, приводимые в движение паром, лошадиной и ручной, для дешевого приготовления кирпича в больших количествах.

Louis Jäger Maschinen-Fabrikant in Ehrenfeld-Köln a. Rhein (Germany).

ტიტულიარის სომეხნიკი ეფრემ შადუნიკი კოპიპი აუწყებს საყოველთაო საცნობარად, რომ თანხმად ახალი წესისა დაწესებულ უმაღლესის მთავრობისა, დიდი ხანია რაც მივიღე თფილისის ოკრუგის სუბიდან მოწმობა პოვერნიობისა, რომელითაც ნება მიქცეა საქმეების წარმოება სუბიდან.

ამისათვის მსურველთ შეუძლიანთ მომანდონ როგორც სხვა-და-სხვა საქმეები საწარმოებლად, აგრეთვე დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ გამიჯნის დროს მამულებისა. ამისთანავე ვიღებ უგოლოვინის (სისხლის სამართლის) საქმეებსაც, როგორც ვეკილი და გამოცდილი ჩინოვნიკი მყოფი სეკრეტარის თანამდებობაში თფილისის ოკრუგის სუბში.

ბინა მექნება ქ. ღუშეთში ბევო პრაქელოვის სახლში.

ზოგჯერ ტიტულიარნი სოვეტნიკი (3—2) ეფრემ კოპიპი.

ნაფიცო ვეკილი ალექსანდრე მირიანის-ძე

ჰელონია

მიიღებს ეველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: აშთაისში, სილაზე, მ. ჭეონიას სახლში. (5—5)

ინგლისის მაღაზიაში

ინგლისის მაღაზიაში

(Maison de confiance)

შეადრეთ ჩვენი ჩაი	ჩაის
— 1 მ. 10 კაბ.—	1 მ. 40
— 1 „ 20 „—	1 „ 60
— 1 „ 40 „—	1 „ 90
— 1 „ 60 „—	2 „ 20
— 1 „ 80 „—	2 „ 50
საუკეთესო 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდა, სხვაგვარაა ქაღალდით. (100—95)

ძალადის გაგზავნისათვის

თფილისის ქალაქის გარეუბანში ახალი აცხადებს საყოველთაოდ, რომ, ფინანსთ მინისტრისაგან 20 აპრილს 1882 წ. დამტკიცებულია წესი \$ 11 მუსლის ძალით შესაქალაქო საზოგადოებაში 750,000 ობლიგაციების მოცემისა, თფილისის ქალაქის რევიის სალაში 1 აპრილს 1882 წელს დილით 12 ათზე, ქალაქის გამგეობის ნადასწრებით, იქნება სასრული ტირაჟი 15,300 მანეთის ობლიგაციების გამოსყიდვისა (გამქნიე) (3—)

ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში (პირ-და-პირ) და ბ-ნი იოსიანთან (ოკრუგის სუბის ქვეშ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადო გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15
ხატაური — — — 10

ბაძსია

აკვეთავ სარაგველებთან, რომელთა იყიდებიან თფილისის ბაზრებში ნება და დატარებთ 1 აპრილს 1 მასამდის.

ბამოცხვარი პური: ხორბლის ფაქი

პირველის ხარისხის—1 გირ.
მეორის „ —1 გირ.
მესამის „ —1 გირ.

იმავე ფაქილ. თორნეში გამოცემის პირველის ხარისხის—1 გირ.
მეორის „ —1 გირ.

ჭვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავში 1 გირ.
მეორის „ —1 გირ.
მესამის „ —1 გირ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის—1 გირ.
მეორის „ —1 გირ.
სუკი — — — 1 გირ.

სხვების ხორცი — 1 გირ.

ლორის ხორცი:

პირველი ხარისხის —1 გირ.
მეორის „ —1 გირ.